



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
სამართლის საბაკალავრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

15 ივნისი 2023 წ.

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	10
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	10
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	20
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	29
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	31
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	39

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო მესხიშვილი, შპს აჭარა ჯგუფი“- იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი. საქართველოს უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნონა ზუბიტაშვილი, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, უფროსი იურიდიული მრჩეველი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სამართალი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Law
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული. 02.02.2021, 53927
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას აკრედიტებულ რეჟიმში 2012 წლიდან ახორციელებს (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #680; 20.11. 2012).

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს (გამონაკლისია პირველი და მეორე სემესტრები, როდესაც სტუდენტი აითვისებს შესაბამისად 34 და 26 კრედიტს). საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს - 8 სემესტრს შეადგენს.

სამართლის საბაკალავრო პროგრამა შედგება საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების (12 ECTS), საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების (10 ECTS), ინგლისური ენის (მათ შორის პროფესიული ინგლისურის) მოდულების (20 ECTS), სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების (148 ECTS), სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულებისგან (30 ECTS) და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე მიმართული სავალდებულო კომპონენტისგან (20 ECTS). პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

ექსპერტთა მიერ 1.3 ქვესტანდარტთან (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი) მიმართებით გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

„დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი: განსაზღვრულ იქნეს სწავლის შედეგის გაზომვადი ეფექტური ინდიკატორი. შეფასების მექანიზმის დოკუმენტშივე ასახულ იქნეს სამიზნე ნიშნულების ჩაშლა და გადახრის დაშვებული დიაპაზონი. პროგრამით გათვალისწინებულ „სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების კავშირში“ გათვალისწინებულ იქნეს შედეგებზე გამსვლელი შესაბამისი სასწავლო კურსები კერძოდ, პროფესიული ინგლისური ენა იურისტებისათვის.“

აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, 1.3 ქვესტანდარტი განიხილებოდა როგორც - *მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.*

რამდენადაც, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტიდან (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია, „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე), ირკვევა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია, რის საფუძველსაც წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია („სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების განახლებული მექანიზმები“, „სამართლის საბაკალავრო პროგრამა 07.06.2023 წლის მდგომარეობით“), რომელიც ასახავს რეკომენდაციის გათვალისწინების ინფორმაციას, შესაბამისად ექსპერტთა გადაწყვეტილებით დაწესებულებას აღარ გაეცა ზემოაღნიშნული რეკომენდაცია 1.3 ქვესტანდარტთან მიმართებით და შესაბამისად 1.3 ქვესტანდარტი განიხილება როგორც - *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.*

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის ფარგლებში, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ადგილზე დაწესებულებაში 2023 წლის 03 მაისს. უსდ-ში ექსპერტთა ვიზიტი გაგრძელდა 1 დღის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები და სხვა). გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებს, აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებს, დეკანს. ვიზიტი საინტერესოდ და საქმიანად წარიმართა, უნივერსიტეტი ღია იყო თანამშრომლობისთვის, რის გამოც ვიზიტი ნაყოფიერად და წარმატებით დასრულდა. ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციისა და უსდ-თან დაკავშირებული დოკუმენტების გაცნობისას გაირკვა, 02/02/2021 MES 0 21 0000053932 აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული და შესრულებულია. ასევე, დადგინდა, რომ ადმინისტრაცია

აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში და ნემისმიერ საკამათო თუ პრობლემურ საკითხზე მყისიერად რეაგირებს და აგრძელებს პროგრამის გასაუმჯობესებლად შესაბამის ქმედებებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პირველი სტანდარტი სრულად, მეორე სტანდარტი სრულად და მეოთხე სტანდარტის პირველი და მეოთხე ქვესტანდარტი.

დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების/ინფორმაციის შესწავლა-შეფასების და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა შემდეგი:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 ქვესტანდარტი (პროგრამის მიზნები) — შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 ქვესტანდარტი (პროგრამის სწავლის შედეგები) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3 ქვესტანდარტი (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4 ქვესტანდარტი (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5 ქვესტანდარტი (სასწავლო კურსი/საგანი) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 ქვესტანდარტი (პროგრამაზე დაშვების წინაპირობები) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 ქვესტანდარტი (პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 ქვესტანდარტი (სწავლება-სწავლის მეთოდები)- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 ქვესტანდარტი (სტუდენტების შეფასება) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 ქვესტანდარტი (ადამიანური რესურსი) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4 ქვესტანდარტი (მატერიალური რესურსი)- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ქვესტანდარტი 1.1 პროგრამის მიზნები

საიტზე განთავსდეს სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი რედაქცია.

ქვესტანდარტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამით მკაფიოდ განისაზღვროს პროფესიული ინგლისურისთვის აუცილებელი ზოგადი ინგლისურის მინიმალური დონე. ასევე პროფესიულ ინგლისურზე გადასვლა სტუდენტებისთვის გახდეს უფრო მოქნილი, რათა პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიული ინგლისურისთვის საჭირო დონეს, სავალდებულო წესით არ მოუწიოთ იმავე დონის შესწავლა 10 კრედიტის ფარგლებში, რომელიც უკვე გააჩნიათ.

ქვესტანდარტი - 2.4 სტუდენტთა შეფასება

სასურველია, სტუდენტთა დაბნევის თავიდან აცილების მიზნით, დაკორექტირდეს „სანივთო სამართლის“ სილაბუსში მე-4 გვერდზე ჩანაწერი შუალედურის და ფინალური გამოცდის შეფასების ქულასთან დაკავშირებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა არგუმენტირებული პოზიცია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია, „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე), საიდანაც დგინდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია, რის საფუძველსაც წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია („სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების განახლებული მექანიზმები“, „სამართლის საბაკალავრო პროგრამა 07.06.2023 წლის მდგომარეობით“), რომელიც ასახავს რეკომენდაციის გათვალისწინების ინფორმაციას.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული მიზნებია სტუდენტს:

- შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლის არსის, პრინციპებისა და ინსტიტუტების, აგრეთვე ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ;
- შესძინოს ფართო ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში;
- გამოუმუშავოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების, გადაწყვეტილების დასაბუთების, იურიდიული ხასიათის დოკუმენტებზე მუშაობის უნარი;
- გამოუმუშავოს მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტის თეზისის განვითარების, შერჩეული მიდგომის დასაბუთების და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- გამოუმუშავოს მშობლიურ ან/და უცხო ენებზე საჭირო ინფორმაციის, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და მოძიების, ცოდნის განახლებისა და სწავლის უნარი, ასევე მოძიებული ინფორმაციის თაობაზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის, პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

ამდენად, პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადია; აღნიშნული მიზნები შეესაბამება სამართლის სწავლების საბაკალავრო საფეხურს და ლაკონურად გადმოსცემს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ისახავს ამოცანად. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს იმ ღირებულებებსაც, რომელთა განვითარება მომავალი იურისტებში მნიშვნელოვანია როგორც იურისტის პროფესიის, ასევე ზოგადად სპექტრში, საზოგადოების განვითარებისათვის.

პროგრამის საჯაროდ ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უსდ-ს ოფიციალური ვებ გვერდის მეშვეობით. თუმცა, ვებ. გვერდზე განთავსებული პროგრამის რედაქცია არ შეესაბამება წარმოდგენილ პროგრამას დამტკიცების თარიღების მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები
- უსდ-ს ოფ. ვებ გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საიტზე განთავსდეს სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი რედაქცია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრულია შემდეგი სწავლის შედეგები:

ცოდნა- გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით კურსდამთავრებული:

აღწერს:

- სამართლის არსს, ნიშნებს, ფუნქციებს, ძირითად პრინციპებს და მათ მნიშვნელობას სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის, სამართლებრივ სისტემებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სტრუქტურას და სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, რომის სამართლის წყაროებს და ინსტიტუტებს;
- სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს, ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს და ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, საგადასახადო სამართლის წყაროებს და საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების სტადიებს და თავისებურებებს;
- კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის ცნებებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელმწიფო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს, სამეწარმეო თავისუფლებისა და შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების სტადიებს და თავისებურებებს;
- სისხლის სამართლის არსს და პრინციპებს, დანაშაულის არსს და სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, სასჯელთა სისტემას, სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს და თავისებურებებს, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებებს;
- საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს და ინსტიტუტებს, საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების თავისებურებებს.

განსაზღვრავს:

- სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს.

ამდენად, ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში, პროგრამის სწავლის შედეგები შედგება ორი ძირითადი შედეგისგან.

გამომუშავებული უნარის ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით, კურსდამთვრებულს განვითარებული აქვს 7 ძირითადი პროფესიული უნარი, კერძოდ:

- ახდენს მიღებული ცოდნის საფუძველზე სამართლის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს,
- ადგენს სამართლებრივ დოკუმენტებს;
- აანალიზებს და იყენებს სამართლის ნორმებს იურიდიული მოქმედებების განხორციელების მიზნით;
- შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიას და ტაქტიკას ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;
- აანალიზებს სამართლის სფეროში არსებულ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაწყვეტის გზებს, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს, მსჯელობს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერიტი ფორმით, მშობლიურ ან/და უცხო ენაზე; შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიას და ტაქტიკას ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.
- მოიძიებს სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს.

ხოლო პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის ნაწილში განსაზღვრულია, რომ კურსდამთავრებული:

- მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით და იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს;
- წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით; ავლენს ცოდნის განახლების უნარს.

პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომლის მიხედვითაც, იკვეთება, რომ პროგრამის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრამის სწავლის შედეგები, თავის მხრივ, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; შეესაბამება სამართლის საბაკალავრო სწავლების დონეს და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებს.

აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგები თანხვედრაშია დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობასაც;

ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა რომ პროგრამის განვითარებაში და მათ შორის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები: აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები (შენიშვნა: სტუდენტების ჩართულობა აღნიშნულია ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ ინტერვიუს დროს გაცხადებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უშუალოდ სტუდენტებთან ინტერვიუ არ განხორციელებულა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს მიერ შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და აღნიშნული მექანიზმის შესაბამისად, მომზადებულია შეფასების ანგარიში. წარმოდგენილი წარმოდგენილი შეფასების მექანიზმის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირ შესაფასებლად გამოიყენება: სტუდენტების აკადემიური მოსწრება, პრაქტიკების დაცვის შედეგები. შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა და ფოკუს შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებელი კონკრეტული გეგმა და გრაფიკი არის გაწერილი. ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია თითოეული სასწავლო კურსი რა დონით ავითარებს პროგრამის სწავლის შედეგებს. კერძოდ, განსაზღვრულია სამი დონე: ა - გაცნობა, ბ - გაღრმავება, გ - განმტკიცება. სწავლის შედეგების მექანიზმით დადგენილია სამიხნე ნიშნულიც, რაც შეადგენს 75%-ს პროცენტს. უსდ-ს ასევე შემუშავებული აქვს „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და ანალიზი“ რომლის მიხედვითაც „არსებობს რეკომენდაცია, რომ ფრიადების რაოდენობა ჯგუფში არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს. პრაქტიკაში გვაქვს აკადემიური მოუსწრებლობის შემთხვევებიც, როდესაც სტუდენტი გამოცდაზე ჩაიჭრება. სასურველია, რომ ასეთი შემთხვევები იყოს ერთეული და მთლიანობაში არ აღემატებოდეს 5-10%-ს. აქ მთავარი ყურადღება ეთმობა შედეგს, რა დონეზეა სასწავლო კურსი ათვისებული სტუდენტთა უმრავლესობის (დაახლოებით 50-60%) მიერ. მისაღებია, თუ იგი აღმოჩნდება 61-80 ქულათა საზღვრებში.“

გასათვალისწინებელია, რომ აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი არის ორი განსხვავებული, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პროცესი, თავად, აღნიშნული დოკუმენტიც არ ითვალისწინებს მკაფიო კავშირს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან და მისგან გამომდინარე პროცესებთან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასების დოკუმენტშივე იყოს ინტეგრირებული როგორც სამიხნე ნიშნულები, ასევე ამ ნიშნულებიდან გადახრის დაშვებული დიაპაზონი.

წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში, სწავლის შედეგების შეფასებაში მონაწილეობს სპეციალობის ყველა სავალდებულო კურსი. პროგრამის როგორც მიზნები, ასევე პროგრამის

შედეგები, განსაზღვრავს წერილობითი და ზეპირის მსჯელობის უნარს მშობლიურ ან/და უცხო ენაზე. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუკის მიხედვით (სამართლის საბაკალვრო პროგრამა გვ. 42) იმ სასწავლო კურსების ჩამონათვალში, რომლებიც მონაწილეობენ მითითებული შედეგის მიღწევაში არ მონაწილეობს სპეციალობის უცხო ენის სასწავლო კურსი. ასევე პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმში ასახულ ცხრილში - „სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების კავშირი“ არ არის მითითებული სპეციალობის უცხო ენა (პსშ, გვ. 3). შესაბამისად, აღნიშულიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმის მიხედვით, ამ პროცესში არ მონაწილეობს უცხო ენა (კერძოდ, პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული ინგლისური ენა იურისტებისათვის, რაც ასევე დასტურდება, აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე განხორციელებულ ანგარიშითაც, მაშინ, როდესაც უცხო ენაზე ზეპირი თუ წერილობითი ფორმით კომუნიკაციის დამყარების უნარის გამომუშავება დასახულია, როგორც პროგრამის მიზნებით, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებით.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების სახელმძღვანელოს მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა გამახვილდეს თუ რამდენად ადეკვატურია იმ სასწავლო კურსების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში; ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს ან პირიქით; ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. აღნიშნული სახელმძღვანელო, პირდაპირი შეფასების მეთოდით განსაზღვრავს შედეგის გაზომვის ისეთ კონკრეტულ ინდიკატორს, რომლის მეშვეობითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს სტუდენტის მიერ შესრულებული აქტივობის/დავალების (და არა სტუდენტის მიერ მთლიანობაში კურსის დაძლევის) მეშვეობით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში ნათლად უნდა ჩანდეს, თუ რომელი სასწავლო კურსის, რომელი დავალებით შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. თავის მხრივ, შერჩეული სასწავლო კურსი თანხვედრაში უნდა იყოს პროგრამის შესაბამის შედეგთან, ხოლო სასწავლო კურსის ფარგლებში შერჩეული ინდიკატორი (იგულისხმება დავალება/აქტივობა, როგორცაა პრეზენტაცია, იმიტირებული პროცესი, შუალედური გამოცდის კაზუსი, იურიდიული დოკუმენტის მომზადება) შინაარსობრივად უნდა იძლეოდეს აღნიშნული შედეგის მიღწევის გაზომვის საშუალებას. მაგალითისთვის, პროგრამის სწავლის შედეგი, რომლის მიხედვითაც, კურსდამთავრებული „აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს“ „შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის ტაქტიკას“ „ადგენს სამართლებრივ დოკუმენტებს“ შეუძლებელია შეფასდეს მხოლოდ მთლიანი სასწავლო კურსით, პირობითად, სამოქალაქო საპროცესო სამართალში სტუდენტების მიღებული შეფასებით. არსებული მექანიზმი არ იძლევა შესაძლებლობას შემოწმდეს, სტუდენტის მიერ შესრულდა თუ არა ის კონკრეტული აქტივობა/დავალება, რომელიც აფასებს დასახელებული უნარების გამომუშავებას. ამდენად, სწავლის შედეგის გაზომვა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამის სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრულ იმ კონკრეტულ აქტივობაზე თუ დავალებაზე დაკვირვებით (მათ შორის, მიღებული შეფასებასა და სტუდენტებისგან/კურსდამთავრებულებისგან მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით), რომელიც ავითარებს პროგრამით განსაზღვრულ კონკრეტულ შედეგს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სწავლის შედეგების შეფასების მიზნებისათვის არ არის საკმარისი აკადემიურ მოსწრებაზე დაკვირვება, რადგან ამ გზით, ზუსტად გაზომვადი ვერ იქნება პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი. შესაბამისად, უნდა დაიხვეწოს სწავლის შედეგების შედეგების მექანიზმი: განსაზღვრულ იქნეს სწავლის შედეგის გაზომვადი ეფექტური ინდიკატორი. შეფასების მექანიზმის დოკუმენტშივე ასახულ იქნეს სამიზნე ნიშნულების ჩაშლა და გადახრის დაშვების დიაპაზონი. პროგრამით გათვალისწინებულ „სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების კავშირში“ გათვალისწინებულ იქნეს შედეგებზე გამსვლელი შესაბამისი სასწავლო კურსები (კერძოდ, პროფესიული ინგლისური ენა იურისტებისათვის).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის ECTS სისტემის შესა

ბამისად და მოიცავს 240 ECTS კრედიტს. პროგრამა შედგება საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულის, საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების მოდულის, ინგლისური ენის (მათ შორის პროფესიული ინგლისურის) მოდულის (აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოდული არ მონაწილეობს სწავლის შედეგების შეფასების პროცესში. სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულებისგან, აგრეთვე პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე მიმართული სავალდებულო კომპონენტისგან. აქედან სპეციალობის სავალდებულო კურსების შედეგება 148 კრედიტისგან, ხოლო არჩევით 30 კრედიტისგან.

აღსანიშნავია, რომ მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. მთლიანობაში, წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის განვითარება ხორციელდება დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით (აკად და მოწ. პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ 02/02/2021 MES 0 21 0000053932 აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა გარკვეული სილაბუსების შინაარსობრივ ურთიერთგადაფარვებს, თემატიკის დუბლირებას, ზოგიერთ სილაბუსში თემატიკა სრულად არ ფარავდა სასწავლო კურსის შინაარსს, ზოგი მათგანი არ მოიცავდა ფუძემდებლურ საკითხებს, არსებული ლიტერატურა სრულად არ ფარავდა სასწავლო მასალას, საჭირო იყო ლიტერატურის განახლება, ასევე რეკომენდაცია იყო გაცემული გაუქმებული ნორმატიული აქტების მოქმედით ჩანაცვლებაზე. გადამოწმდა საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებული სილაბუსები და დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ რეკომენდაციები გაზიარებული და გათვალისწინებულია.

გარდა საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებული სილაბუსებისა, ექსპერტების მიერ განხილულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ყველა სილაბუსი, მათ შორის პროგრამას დამატებული ახალი საგნების: „ინტერნეტ სამართალი“ (არჩევითი კურსი), „ფარმაცევტული სამართალი“ (არჩევითი კურსი), „საერთაშორისო არბიტრაჟი“ (არჩევითი კურსი), „სამართლის დიგიტალიზაცია“ (არჩევითი კურსი).

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (სილაბუსები, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში შესული ცვლილებების აღწერა) დადგინდა, რომ გარდა რეკომენდაციის შესრულების მიზნით გატარებული ქმედებებისა, განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, მაგალითად „შრომის სამართალში“ განახლდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, განახლდა ყოველკვირეული შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. „საერთაშორისო არბიტრაჟის“ სილაბუსში განახლდა ყოველკვირეული და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმები, ამასთან განახლდა სასწავლო კურსის შინაარსი; და ა.შ..

ყოველი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. ასევე, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და

დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები ადეკვატურადაა გადანაწილებული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი მოიცავს: ლექციას, ჯგუფურ მუშაობას/პრაქტიკულ სამუშაოს, საკონტაქტო საათს, დამოუკიდებელ მუშაობას, შუალედურ და დასკვნით გამოცდას. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (ნაციონალური თუ საერთაშორისო ნორმატიული აქტები, სტატიები, სასამართლო გადაწყვეტილებები, შეთავაზებული ელექტრონული ლიტერატურა და სხვ.) ეხმიანება მიმართულების/დარგის აქტუალურ ტენდენციებს და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი იძენს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით ბაკალავრიატის საფეხურისათვის დადგენილ ცოდნასა და უნარებს. სასწავლო კურსები მოიცავს სამართლის სფეროში არსებული ძირითადი თეორიებისა და პრინციპების, საჯარო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის მოდულების ფარგლებში ფუნდამენტური საკითხების მომცველ სასწავლო კურსებსა და ცოდნის პრაქტიკული უნარის განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს, ამასთან არჩევითი კურსების მეშვეობით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესის შესაბამისად, მათ მიერ არჩეული საჯარო სამართლის, საერთაშორისო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის მიმართულებით მიიღონ შესაბამისი ცოდნა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის სილაბუსების შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ სწავლის შედეგები აკმაყოფილებს ბაკალავრიატის საფეხურისთვის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა კი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში ჩამოყალიბებულია კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად - საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში შესული ცვლილებების აღწერა;
-

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს პროგრამაზე სტუდენტების მიღების წინაპირობებს. კერძოდ: ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (გერ. ინგ. რუს. ფრან.), ხოლო მესამე საგნად ერთ-ერთი: მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება).

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამით გათვალისწინებულია ინგლისური ენის 20 კრედიტიანი მოდული, რომლიდანაც 10 კრედიტი ეთმობა ზოგად ინგლისურს, ხოლო 10 კრედიტი პროფესიულ ინგლისურს. პროგრამიდან იკვეთება, რომ სხვა უცხო ენის (მაგ. გერ. რუს. ან ფრანგული) ჩაბარების საფუძველზე მიღებული იმ სტუდენტთა მიყვანა პროფესიული ინგლისურისთვის საჭირო დონემდე ხდება 15 კრედიტის ფარგლებში. თუმცა არ ჩანს თავად პროფესიული ინგლისურისთვის განსაზღვრული ზოგადი ინგლისურის დონე, რომელიც როგორც წესი შეადგენს ზოგადი ინგლისურის დონე ბ1-ს (მინიმუმ). სტუდენტი, რომელსაც ერთიანი ეროვნულ გამოცდებში ჩაბარებული აქვს ინგლისური ენა და მის მიერ მიღებული შედეგები შეესაბამება პროფესიული ინგლისურისთვის საკმარის დონეს ან ჩამორჩება მაგ. მხოლოდ ერთი დონით, პროგრამის მიხედვით ზოგადი ინგლისურის მოდულისგან თავისუფლდება მხოლოდ საერთაშორისო სერტიფიკატის საფუძველზე. ამდენად, იკვეთება შემდეგი მოცემულობა: სტუდენტს, რომელსაც აქვს ზოგადი ინგლისურის საკმარისი ცოდნა და აკმაყოფილებს პროფესიული ინგლისურის დონეს, თუმცა არ აქვს საერთაშორისო სერტიფიკატი (რაც ყველასთვის არაა მარტივად ხელმისაწვდომი), კვლავ უწევს სავალდებულო წესით ინგლისური ენის იგივე დონის გავლა 10 კრედიტის ფარგლებში, რომელიც მას უკვე აქვს გამომუშავებული. ამდენად, მიზანშეწონილია პროგრამაში უფრო ნათლად განისაზღვროს პროფესიული ინგლისურზე დაშვებისთვის აუცილებელი ზოგადი ინგლისურის დონე. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებს ინგლისური ენის სხვადასხვა დონის მქონე სტუდენტები აბარებენ, მიზანშეწონილია, უსდ-მ უზრუნველყოს შიდა საუნივერსიტეტო ტესტირების საფუძველზე სტუდენტების დონეების მიხედვით გადანაწილება ზოგადი ინგლისურის კურსებზე. აღნიშნულის შედეგად, ის სტუდენტი, რომელსაც სპეციალობის ინგლისურისთვის სჭირდება მხოლოდ 1 დონით ამაღლება გაივლის იმ მოცულობის/ ოდენობის კურსს, რაც ესაჭიროება (და არა სავალდებულოდ 2 კურსს), ხოლო ის სტუდენტი, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ პროფესიული ინგლისურის დადგენილ დონეს (სავარაუდოდ ბ1-ს), პირდაპირ დაეუფლებიან პროფესიულ ინგლისურს (ზოგადი ინგლისურისთვის განსაზღვრულ 10 კრედიტს კი აითვისებენ არჩევითი საგნების ხარჯზე).

მთლიანობაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროდ განთავსებულია უსდ-ს ოფიციალურ ვებ. გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამით მკაფიოდ განისაზღვროს პროფესიული ინგლისურისთვის აუცილებელი ზოგადი ინგლისურის მინიმალური დონე. ასევე პროფესიულ ინგლისურზე გადასვლა სტუდენტებისთვის გახდეს უფრო მოქნილი, რათა პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიული ინგლისურისთვის საჭირო დონეს, სავალდებულო წესით არ მოუწიოთ იმავე დონის შესწავლა 10 კრედიტის ფარგლებში, რომელიც უკვე გააჩნიათ.

- შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, სტუდენტების პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. კერძოდ, გარდა იმისა, რომ სავალდებულო კურსების უმეტესობა სხვადასხვა დოზით ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, ბოლო საფეხურზე, სტუდენტები სავალდებულო წესით გადიან პრაქტიკულ კურსებს სამართლის სამი ძირითადი მიმართულებით (საჯარო, კერძო და სისხლი). უსდ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა სუბიექტებთან, რომელთა მიზანია, როგორც სტუდენტების პრაქტიკა, ასევე სხვადასხვა სახის ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება. უსდ-ს ოფიციალური ვებ გვერდის მიხედვით, უსდ ხშირად მასპინძლობს და უწევს ორგანიზებას სხვადასხვა ტიპის

ღონისძიებებს და აქტივობებს, რაც დადებითად ისახება სტუდენტების კურიკულუმის მიღმა უნარების, მათ შორის ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები
- ვებ გვერდი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლება-სწავლის მეთოდებს. სწავლებისა და სწავლის ფორმატი მოიცავს: ლექცია-სემინარებს, ინდივიდუალურ, ჯგუფურ და პრაქტიკულ სამუშაოებს, საშინაო დავალებებს, პრეზენტაციებს, სასწავლო პრაქტიკას (იმიტირებული სასამართლო პროცესები, სამართლებრივი კაზუსები).

